ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №089

ქ. თბილისი 25 დეკემბერი 2011 წელი

ერთის მხრივ, **შპს "საქართველოს ლატარიის კომპანია"**, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ლევან სანაძის სახით, შემდგომში "შემსყიდველი" და მეორეს მხრივ, **ინდივიდულური მეწარმე** წარმოდგენილი ენძელა მაჭავარიანის სახით, შემდგომში "მიმწოდებელი" ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია საახალწლო მილოცვის განთავსების მომსახურების შესყიდვა, გაზეთ „სამების ტაძარის" მე-3 ნომერში. (CPV კოდი: 79340000)
1.2. რეკლამა განთავსდება გაზეთის ნომრის 0,5 (ნახევარ) გვერდზე.
1.3. განსათავსებელი სარეკლამო მასალის მიწოდებას მიმწოდებლისათვის უზრუნველყოფს შემსყიდველი.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. მომსახურების ღირებულება შეადგენს 1 000 (ერთი ათასი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მხარეთა შორის ანგარიშსწორება წარმოებს ლარში, უნაღდო ანგარიშსწორების გზით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ „მიმწოდებლის" საბანკო რეკვიზიტებზე.
3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიის" ანალიზისა და პროგნოზირების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი - ლალი კრიხელი.
4.2. მომსახურება გაწეულად ჩაითვლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1. მომსახურების გაწევის ადგილია: ქ. თბილისი.
5.2. მომსახურების გაწევა ხორციელდება არაუგვიანეს 2011 წლის 31 დეკემბრისა.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
6.4. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს მომსახურება იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში.
6.5. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებათა კეთილსინდისიერი და ჯეროვანი შესრულება;

6.6. თითოეული მხარე პასუხს აგებს მეორე მხარისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანისათვის, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7. დაუძლეველი ძალა

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. სხვა პირობები

9.1. ყველა იმ საკითხის რეგულირების მიზნით, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები სარგებლობენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
9.3. ხელშეკრულება ძალაში შედის 2011 წლის 25 დეკემბრიდან და მოქმედებს 2012 წლის 15 იანვრამდე.
9.3. წინამდებარე ხელშერკულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი გადაეცემა „მიმწოდებელს", ხოლო მეორე ეგზემპლარი „შემსყიდველს".

11. მხარეთა რეკვიზიტები:

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
შპს " საქართველოს ლატარიის კომპანია"	ინდ. მეწარმე - ენძელა მაჭავარიანი
მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №34	მის: ელიას მთა; ნინუას ქ. №3
ს/კ 204568208	პ/ნ 01019011160
ბანკი: სს "ლიბერთი ბანკი"	ბანკი: სს "საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: LBRTGE22	ბანკის კოდი: 220101502
ა/ა GE28LB0113121375356003	ა/ა 234668600
---	---
გენერალური დირექტორი	ინდ. მეწარმე
ლევან სანაძე	ენძელა მაჭავარიანი